

სიღარიბის კულტურა საქართველოში: ქუჩაში მყოფი ბავშვების
საზოგადოებაში ინტეგრირებასთან დაკავშირებული სირთულეები

გიორგი ითონიშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2018

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

გიორგი ითონიშვილი

06.22.2018

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს საქართველოს ღარიბი მოსახლეობის კულტურას, კერძოდ შეისწავლის ქუჩაში მყოფ ბავშვებს. ის ცდილობს გაიგოს რა არის მათი გარეთ ყოფნის მიზეზები, როგორი დამოკიდებულება აქვს მათდამი საზოგადოებას და აქვთ თუ არა შანსი ეკონომიკური ინტეგრაცია განიცადონ, მიატოვონ ქუჩები და ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდნენ, სადაც არ მოუწევთ მოწყალეების თხოვნა. ნაშრომში განხილულია თვისებრივი კვლევა რომელიც ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision Georgia-ს თანამშრომლების გამოკითხვით. ორგანიზაცია მუშაობს იმისათვის, რომ ბავშვები მოარიდონ ქუჩებს, გადმოიყვანონ სადღეღამისო ცენტრებში და შესძინონ საჭირო უნარები, რათა შეძლონ სკოლაში სიარული, სხვა საცხოვრებელ პირობებში გადასვლა, ან უბრალოდ ცხოვრების გაუმჯობესება. შედეგებში განხილულია რამდენად საზიანოა ბავშვებისათვის ქუჩაში ფულის მიცემა და როგორ აფერხებთ მათ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება იმის დაჯერებაში, რომ ნორმალურ ცხოვრებას იმსახურებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

ქუჩის ბავშვები, მოწყალეების თხოვნა, სიღარიბის კულტურა

Abstract

The writing discusses the culture of poverty in Georgia, specifically the children in the streets. It aims to find the reasons of them being outside, learns how they are treated by general public and judges their chances of going through economic integration, so that they could leave the streets and join the normal rhythm of everyday life, where they won't have to beg to survive. The writing includes a qualitative research, which is based on the interviews from the employees of the international organization World Vision Georgia. The organization seeks to help children avoid the streets, tries to keep them occupied in their help centers where they aim to equip them with necessary skills, so that they can go to school, start living at a better place, or simply have a better life. In the conclusion part the writing discusses how harmful it could be to give money to the begging children and how negative treatment from the society stops them from believing, that they can deserve to have a better life.

Key Words:

Children in the streets, Beggars, Culture of Poverty,